

## „ხმები წარსულიდან“

კავკასიური მრავალხმიანობა ბერლინის ფონოგრაფიის  
არქივის ისტორიულ ხმოვან ჩანაწერებში

## შესავალი

სტატიის მიზანია წარმოადგინოს ბერლინის “ფონოგრამარქივში” დაცული კავკასიური მრავალხმიანობის ისტორიული ჩანაწერები. მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი პოლიტიკის გამო 1991 წლამდე ომამდელი ფონდების მხოლოდ ნაწილი იყო ხელმისაწვდომი. აღმოსავლეთ ევროპაში ორმოცდაათწლიანი ოდისეას შემდეგ ცვილის ლილვაკის კოლექციები ეთნოგრაფიულ მუზეუმს დაუბრუნდა. ბერლინის “ფონოგრამარქივის” მოვლენებით სავსე ისტორია ვრცლად რამდენიმეჯერ აღინერა, ყველაზე ბოლოს – ზიმონის მიერ 2000 და ციგლერის მიერ 2001 წელს. დიდი დრო და უზარმაზარი ძალისხმევა დაჭირდა ბერლინის ცვილის ლილვაკის პროექტის დაფუძნებას, რომელსაც ამჟამად ფინანსურად ეხმარება “Stiftung Preußischer Kulturbesitz” და “Stiftung Deutsche Klassenlotterie Berlin” (დანვრილებით იხ. Ziegler, 2000b). 1999 წელს ბერლინის “ფონოგრამარქივის” ცვილის ლილვაკის ადრეულ კოლექციებს წილად ხვდა პატივი, შესულიყო იუნესკოს “მსოფლიო მემკვიდრეობის” სიაში. არქივის მრავალწლიანი იზოლაციის შემდეგ ჩვენი პირველი ამოცანაა, ძვირფასი ისტორიული ჩანაწერები მსოფლიოსათვის ისევე ცნობილი და მისაწვდომი გავხადოთ.

ფსიქოლოგ კარლ შტუმპფის (1848-1936) მიერ დაარსებული არქივი, რომელსაც 1905-1933 წლებში ერის მორიც ფონ ჰორნბოსტელი (1877-1935) ხელმძღვანელობდა, მთელ მსოფლიოში განთქმული იყო არა მარტო მისი ფონდებით, არამედ აგრეთვე ტექნიკითაც. ბერლინის “ფონოგრამარქივი” ინახავს სხვადასხვა მასალის 16 700-ზე მეტ ედისონის ლილვაკს (ცვილის დედნებს, გალვანონეგატივებსა და ცვილის ასლებს), რომლებიც ჩანერილია მთელ მსოფლიოში 1893-1954 წლებში. ცვილის დედნები გაიგზავნა გალვანოპლასტიკური მეთოდით გასამრავლებლად. დედნები ჩვეულებრივ ვერ უძლებდა გალვანიზების პროცესს, მაგრამ ე. წ. “გალვანოები” (სპილენძის ყალიბები) რჩებოდა ცვილის ასლების გადასაღებად. რადგანაც ძველი შავი ასლები, მრავალჯერ დაკვირვის გამო, ხშირად დაზიანებული და გაცვეთილია, ახლა ვამზადებთ წითელი ცვილის ასლებს, რომლებიც შემდეგ ხმის ციფრულ მატარებლებზე გადაგვაქვს.

## კავკასიური მუსიკის კოლექციები

16 700-ზე მეტ ლილვაკურ ჩანაწერს შორის “ფონოგრამარქივში” 109-ზე მეტ ლილვაკზე ქართული მუსიკაა. აქ წარმოგიდგენთ ზოგიერთ ჩანაწერს და ყურადღებას ძირითადად მრავალხმიანებზე შევაჩერებ. ლილვაკები თავმოყრილია ორ კოლექციაში: პირველი – ადოლფ დირის მიერ საქართველოში 1909-1913 წლებში ჩანერილი – მოიცავს 38 ცვილის ლილვაკს; მეორე კოლექცია (71 ლილვაკი) ნაწილია გერმანულ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში 1915-1918 წლებში ჩანერილი დიდი კოლექციისა – “ფონოგრაფიული კომისია”.

**დირის კოლექცია**

ადოლფ დირმა – მეოცე საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო სწავლულმა ლინგვისტმა – რამდენიმე წელი საქართველოში გაატარა, სადაც საკუთარი ფონოგრაფით ჩანერა მეტყველება და მუსიკა. 1913 წელს გერმანიაში დაბრუნებულმა ეთნოლოგის თანამდებობა დაიკავა მიუნჰენის ეთნოგრაფიულ მუზეუმში (Öhrig, 2000). დირის ფონოგრაფიული ჩანაწერები გაიყო ვენისა და ბერლინის ფონოგრამების არქივებს შორის: მეტყველების ჩანაწერები ვენას გადაეცა და ფირფიტებზე გადავიდა; მუსიკის ჩანაწერები კი გადაეცა ბერლინს და გალვანიზებით გამრავლდა. ჩანაწერები წარმოადგენს მრავალ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს (მათ შორის, აფხაზებს, ლაზებს, მეგრელებს, ოსებს, თათრებსა და თურქებს) და მოიცავს ძირითადად სოლო, იშვიათად – მრავალხმიან სიმღერებსა და მუსიკალურ საკრავებს. ამგვარად, დირის 38 ცვილის დედანს შორის მხოლოდ ოთხი შეიცავს მრავალხმიან სიმღერებს: აფხაზურს, ოსურსა და სვანურს. დირი, უპირველეს ყოვლისა, შენიშნავს (1914 წლის 3 ივნისის წერილში ფონ ჰორნბოსტელისადმი), რომ 27-ე ლილვაკიდან მოყოლებული, ფონოგრაფი ცუდად მუშაობდა.

დირის ჩანაწერები დიდხანს ერთადერთი იყო კავკასიის რეგიონის დასავლეთში ცნობილ საველე ჩანაწერებს შორის, ამიტომ ისინი საფუძვლად დაედო რამდენიმე სამუსიკისმცოდნეო გამოკვლევას. მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში ერიხ მორიც ფონ ჰორნბოსტელმა ერთი ლილვაკი (18) შეიტანა მის სახელოვან “კოლექციის დემონსტრაციაში”, მარიუს შნაიდერმა გაშიფრა რამდენიმე სიმღერა და ისინი გამოიყენა თავის პუბლიკაციებში მრავალხმიანობის შესახებ (Schneider, 1938b, 1940, 1969). მიუხედავად ამისა, დირის მუსიკალური ჩანაწერები წარმოადგენს საკმაოდ უჩვეულო კოლექციას, რადგან ისინი არ შეუკრებია მუსიკოს-სპეციალისტს, ამიტომ ასახავს არა იმ დროის სრულყოფილ მუსიკალურ ცხოვრებას, არამედ მხოლოდ შემთხვევით შთაბეჭდილებებს.

**შუნემანის კოლექცია – პრუსიის სამეფო ფონოგრაფიული კომისია / გერმანია 1915-1918**

ვილჰელმ დოგენის მიერ 1915 წელს დაარსებული ამ კომისიის მიზანსა და სტრატეგიას შეადგენდა უცხო ენებისა და მუსიკის დოკუმენტირება საიმედო ხმის მატარებლებზე სამეცნიერო და საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის. პრუსიის კულტურის სამინისტროს მფარველობით კომისიის უფროსად დაინიშნა ბერლინის “ფონოგრამარქივის” დირექტორი, პროფესორი კარლ შტუმპფი. მეცნიერ წევრებს შორის იყვნენ სახელგანთქმული გერმანელი სწავლულები – ლინგვისტები, ეთნოლოგები და მუსიკისმცოდნეები (Doegen, 1925). თავად შტუმპფსა და გეორგ შუნემანს მუსიკისმცოდნეობა ებარათ; კავკასიური ენების სპეციალისტი იყო ადოლფ დირი, რომელიც ასევე ცნობილი იყო, როგორც ეთნოგრაფი და შემკრები.

გეორგ შუნემანმა კარლ შტუმპფის დავალებით “ფონოგრამარქივისათვის” ჩანერა 1022 ლილვაკი, მაშინ როცა ვილჰელმ დოგენმა კომპანია „ოდეონთან“ ერთად გრამოფონით ჩანერა 1651, ძირითადად მეტყველებისა. ლილვაკები შუნემანის დოკუმენტაციასთან ერთად გახდა “ფონოგრამარქივის” ნაწილი; 1920 წელს ჩანაწერების კოლექცია პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკას შეუერთდა, თანდათან გაფართოვდა და 1933 წელს გახდა უნივერსი-

ტეტის ნაწილი, როგორც “ხმის კვლევის ინსტიტუტი” ლინგვისტური, სამუსიკისმცოდნეო და ფონეტიკური განყოფილებებით. ამჟამად ხმის არქივი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მუსიკისმცოდნეობის ინსტიტუტშია და მოიცავს 4000-ზე მეტ ჩანაწერს, რომლებიც წარმოადგენს როგორც მსოფლიოს ენებს, დიალექტებსა და მუსიკას, ისე ცნობილ პიროვნებათა ხმებს. ამას გარდა, ჩანაწერთა კოლექციას ახლავს ამომწურავი დოკუმენტაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები ინფორმატორებზე, ტექსტები, გერმანული თარგმანები, ფოტოები, ანგარიშები და ა. შ. ხმის არქივის ფონდები ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მეტად მნიშვნელოვანი პროექტის ნაწილია (დანვრილებით იხ. Ziegler, 2000a).

გერმანულ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ჩანერილი 215-ზე მეტი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფიდან კომისიის გამოკვლევათა ნაწილს კავკასიელი ხალხის ენა და მუსიკა შეადგენდა. გრამოფონის ჩანაწერებში ჭარბობს ზეპირი მეტყველების ჩანაწერები (ტექსტები და დიალექტების ნიმუშები). ფრიც ბოზეს მიერ 1935 წელს გამოცემული კატალოგის (Bose, 1935) მიხედვით, მუსიკა საქართველოდან 23 ჩანაწერშია მოცემული, ზოგი მათგანი შეიცავს მუსიკასაც და ზეპირ ტექსტებსაც. გამოსაქვეყნებლად შერჩეული ჩანაწერები ეფუძნებოდა გეორგ შუნემანის მიერ დემონსტრირებისათვის შესრულებულ ცვილის ლილვაკურ ჩანაწერებს. 1022 ცვილის ლილვაკს შორის, რომლებიც მხოლოდ მუსიკას ეძღვნება, 71 შეიცავს მუსიკას საქართველოდან. ამიტომ ცვილის ლილვაკებზე სიმღერების უფრო დიდი არჩევანია, მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერები ხმის უკეთეს ხარისხს გთავაზობს, თუმცა სამხედრო ტყვეთა ბანაკ საგანში 1918 წლის თებერვალში ფონოგრაფსა და გრამოფონზე ჩანერა ერთდროულად მოხდა, რადგან მოსამზადებელი ჩანერისათვის დრო აღარ რჩებოდა (იხ. დანართი, სურათები 1 და 2).

გერმანული სამხედრო ტყვეთა ბანაკების ცვილის ლილვაკური ჩანაწერების სიაში, როგორც გეორგ შუნემანი მიუთითებდა, 69-ზეა მუსიკა კავკასიიდან (სურ. 3).

ჩანაწერები იყოფა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიხედვით: ქართველი (“გურუზიანი”), გურული, ქართლელი, მეგრელი, კახელი და აჭარელი. ნათელია, რომ სამხედრო ტყვეთა მიერ გადმოცემული ინფორმაცია გამოცემამდე სპეციალისტს არ შეუმომბებია, რადგან ზოგიერთი ტერმინი ნაწილობრივ ერთმანეთს ემთხვევა ან აშკარად არასწორია.

თუმცა ლილვაკების უმეტესობაზე სოლო სიმღერებია (38 ლილვაკი), ორი – ორ მამაკაცს შეუსრულებია, შვიდი – მამაკაცების ტრიოს სამეგრელოდან, ცხრამეტი – ე. ნ. “გურულ” გუნდს. ხუთი ლილვაკი ყოველგვარი შენიშვნისა და დამატებითი ინფორმაციის გარეშეა დარჩენილი.

ცვილის ლილვაკები ჩანერილია სამხედრო ტყვეთა სხვადასხვა გერმანულ ბანაკში: ერთი – ბერლინის მახლობლად, დობერიცში/დიროცში კარლ შტუმპფის მიერ, ოთხი – ორდრუფში (ტიურინგია) ომის ბოლო წელს, მაგრამ ოქმები არც ერთ შემთხვევაში არ შემონახულა. 1916 წლის ოქტომბერში მანჰაიმის სამხედრო ტყვეთა ბანაკში გეორგ შუნემანმა ჩანერა 23 ლილვაკი, ძირითადად ორი მომღერლის – პლატონ მაჩაიძისა და გიორგი ნალიკრიშვილის შესრულებით. მოგვიანებით ორივე მათგანი ჩანერეს გრამოფონის ფიციტებზე, მათი პერსონალური საქმეები დაცულია ხმის არქივში: პლატონ

მაჩაიძე მღეროდა 10 ცვილის ლილვაკსა და 4 ჩანანერში, ნალიკრიშვილი – 11 ლილვაკსა და 2 ჩანანერში.

პუხჭაიძის სამხედრო ტყვეთა ბანაკში 9 ლილვაკსა და 5 ჩანანერში ჩანერეს მომღერალთა ჯგუფი, ძირითადად სამეგრელოდან. ამ მამაკაცების შესახებ ასევე არსებობს დანვრილებითი პერსონალური მონაცემები. 1918 წლის თებერვალში, თითქმის ომის დასასრულს, საგანში (სილეზია) ჩანერეს სამხედრო ტყვეთა ჯგუფი (იხ. სურ. 4). ისინი უმთავრესად იყვნენ მამაკაცები დასავლეთ საქართველოდან, რომლებმაც შეასრულეს გურული და სხვა კუთხის სიმღერები. მაშინ როცა გურული სიმღერები ტრიომ იმღერა, მთელ საქართველოში ცნობილი სხვა სიმღერები 5-დან 10 კაცამდე შეასრულა. რადგანაც ცვილის ლილვაკური ჩანანერებიდან გრამოფონის ჩანანერებისათვის შერჩევის დრო არ იყო, ყველა სიმღერა ორჯერ ჩანერეს – ცვილის ლილვაკებზე და გრამოფონზე. საბედნიეროდ, ორივე გადარჩა, ასე რომ, ახლა ჩვენ შეგვიძლია საუკეთესო ნიმუშების არჩევა 19 ლილვაკიდან და 11 ჩანანერიდან.

რეპერტუარი ძალზე მრავალფეროვანია: განსაზღვრული რეგიონისათვის ტიპობრივი ტრადიციული სიმღერები საეკლესიო საგალობლებთან ერთად, პოპულარული სიმღერები დასავლურ სტილში და ქალაქური სიმღერები აღმოსავლურ სტილში, რომლებიც ასახავს იმ დროის საერთო მუსიკალურ სურათს. მაშინ, როცა პირველები, სავარაუდოდ, ჩამწერი ჯგუფის თხოვნით იმღერეს, სხვა სიმღერები მომღერალთა სურვილით შესრულდა. პირველი მსოფლიო ომის ქართველ სამხედრო ტყვეთა რეპერტუარში სრულებით არ არის უცნობი სიმღერები, რაც ქართული ტრადიციული ხალხური სიმღერის უწყვეტობას უსვამს ხაზს.

მაშინ, როცა ცვილის ლილვაკები მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მათ გალვანიზებამდე მეტ-ნაკლებად ხელშეუხებელი რჩებოდა, ჩანანერები ზიგფრიდ ნადელმა გაშიფრა და 1933 წელს კომენტარითა და ანალიზით გამოაქვეყნა თავის ნიგნში – “ქართული სიმღერა” (Nadel, 1933). ჩანანერების 50 ქართული სიმღერიდან ნადელმა შეარჩია 17. დანარჩენი სიმღერები გაშიფრა და მრავალხმიანობის შესახებ სხვადასხვა ნაშრომში გამოაქვეყნა მარიუს შნაიდერმა (Schneider, 1938b, 1940, 1969).

### **მრავალხმიანი სიმღერების ჩანერის მეთოდები და ტრანსკრიფციები**

პირველად ახლა შესაძლებელი, მოვუსმინოთ ჩანანერებს და მუსიკა ტრანსკრიფციებს შევადაროთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიული ჩანანერები ეფუძნება ფონოგრაფის ან გრამოფონის ტექნიკას და, სავარაუდოდ, მძიმე ვითარებაშია შესრულებული. განსაკუთრებით მრავალხმიანი სიმღერების ჩანერას არ შეესაბამებოდა არც ერთი ტექნიკა, რადგან შეუძლებელი იყო, სხვადასხვა ხმა ცალ-ცალკე ჩანერილიყო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს განხორციელდა მხოლოდ ერთხელ, როცა 1935 წელს ევგენი გიპიუსმა, ერნსტ ემსჰაიმერმა და ზინაიდა ევალდმა ოთხი ფონოგრაფით ერთდროულად ჩანერეს გურულ მომღერალთა ჯგუფი (Ziegler, 1993). ჩვეულებრივ, ჩანერისათვის გამოიყენებოდა მხოლოდ ერთი აპარატი ერთი რუპორით. გაშიფრვისას სპეციალისტებსაც კი არ შეეძლოთ, განესხვავებინათ ხმები. ამიტომ ზიგფრიდ ნადელისა და მარიუს შნაიდერის ტრანსკრიფციები არ მიყვება ცალკეულ ხმებს, არამედ ასახავს მხოლოდ ჰარმონიების თანმიმდევრობებს,

ხმათასვლისაგან დამოუკიდებლად. ასე რომ, გაშიფრული მაგალითები ყოველთვის არ შეესაბამება აუდიო ნიმუშებს.

დღეს სრულყოფილი ხმის ტექნიკის წყალობით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ცვილის ლილვაკების საუკეთესო შესაძლო ციფრული ასლები. თუმცა ამის შედეგად მაინც არ შეგვიძლია, განვაცალკევოთ ხმები ერთმანეთისაგან. ამიტომ ვერასდროს დავრწმუნდებით, მელოდიის განსაზღვრული ბგერა ან ნაწილი ნამდვილად შესრულდა თუ არა, რადგან აგრეთვე შესაძლებელი იყო, რომ ის რუპორს ვერ დაეჭირა, მაგრამ სინამდვილეში ემღერათ.

ნიმუშების მოსმენისას ჩვენ ასევე წარმოდგენა გვექმნება შემკრების ჩანაფიქრზე. აპარატების ფიზიკური შესაძლებლობების ზღვრის გამო ზოგი ჩანაფიქრის შესრულება შეუძლებელი იყო; მეორე მხრივ, შეიძლება გაამართლო მანიპულაციები ჩანაფიქრის მისაღწევად. ეს განსაკუთრებით მრავალხმიანი სიმღერების ჩანერას ეხება. შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იყო ფონოგრაფის რუპორით ხუთ ან მეტმომღერლიანი გუნდის ჩანერა. ასე რომ, როცა ჩანაფიქრი უბრალოდ “გურული სიმღერის” ჩვენება იყო, ერთი ხმის ჩანერა კმაროდა, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით გაუგებარი იყო, რომელი ხმა უნდა ჩანერილიყო. როცა ჩანაფიქრი იყო ჩვენება ქართული მრავალხმიანობისა, როგორც ტიპურ რეგიონულ სტილში ერთი სიმღერის ერთად მღერისა, ყველა მომღერალი ფონოგრაფის რუპორის წინ უნდა დამდგარიყო და ამგვარად შემთხვევაზე იყო დამოკიდებული, რომელი ხმა გაისმოდა.

ადოლფ დირისა და მისი ჩანაწერების შემთხვევაში აღვნიშნავდი, რომ იგი არ იყო გამოცდილი ჩამწერი, უპირველეს ყოვლისა, – მუსიკისმცოდნე, ვინაშე უფრო ღრმა ინტერესი ექნებოდა ქართული მუსიკისადმი, თუმცა მან ორი სტატია გამოაქვეყნა ქართული კოლექციიდან აღებული ნოტებით (Dirr, 1910, 1914). ამგვარად, მაშინაც კი, როცა დირს ჰქონდა საუკეთესო შესაძლებლობა, ველზე ჩაენერა ტრადიციული სიმღერები, მან ჩაენერა სიმღერათა მხოლოდ ხმები, როგორც მუსიკალური ნიმუშები. ეს ტექნიკა შეიძლება შედარდეს მეტყველების ადრეულ ჩანაწერებს. ბევრი რეგიონული სტილი და, რაც საოცარია, დღეს ცნობილი არც ერთი ქართული სიმღერა არ ჩანერილა. იქნებ, ისინი ჩანერისათვის უღირსად ჩათვალეს? თუ დირს უბრალოდ არა ჰქონია შესაძლებლობა ამგვარი სიმღერების პოვნისა? რა უცნაურიც არ უნდა იყოს, არასრულ ჩანერას არასრული გაშიფრვა მოჰყვა. როდესაც მარიუს შნაიდერმა, პირველად 1938, მოგვიანებით კი, უფრო დეტალურად, 1940 წელს, გაშიფრა ადოლფ დირის ფონოგრაფიული ჩანაწერები, მას ამგვარი მუსიკა არ მოესმინა. ეს ხსნის, თუ რატომ არ გაშიფრა სრულად შნაიდერმა ისედაც შემოკლებული სიმღერები, არამედ გამოაქვეყნა მხოლოდ ცალკეული, ყურადღებით შერჩეული ელემენტები, რომლებიც მის ჰიპოთეზებს ნათლად დაამტკიცებდა.

პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ჩანაწერებზე შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ტექნიკა უფრო სრულყოფილი იყო, მაგრამ ფონოგრაფიულ კომისიაში შემავალმა არც ერთმა სპეციალისტმა არ იცოდა განსაკუთრებული ტიპის მუსიკა, რომელიც უნდა ჩაენერა. პირველი ჩანაწერები “ნიმუშებზე”, ანუ სოლო სიმღერებზე იყო გათვლილი, მაგრამ მოგვიანებით კომისია უნდა მიმხვდარიყო, რომ ქართული ტრადიციული სიმღერები, უკიდურეს შემთხვევაში, ტრიოს მაინც უნდა შეესრულებინა. თვით მუსიკაზე გერმანიაში ძალზე ცოტა შენიშვნაა გამოთქმული, მაშინ როცა ავსტრიაში ჩვენს ხელთაა

რუდოლფ ფოშისეული დეტალური აღწერები ჩანერის პროცედურებისა (Pösch, 1916) და რობერტ ლახის სამუსიკისმცოდნეო შენიშვნები და ჰიპოთეზები (Lach, 1928, 1931). გეორგ შუნემანი თავის ნაწერებში გერმანულ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ჩანერის შესახებ ყურადღებას ამახვილებს მისთვის უკვე კარგად ცნობილ, ანუ ევროპულ ხალხურ მუსიკაზე, რომელიც აღმოსავლეთით ყაზანელ თათრებამდე ვრცელდება (Schünemann, 1918, 1925). ქართველ სამხედრო ტყვეთა მუსიკა, როგორც ჩანს, ხელშეუხებელი დარჩა, ვიდრე ზიგფრიდ ნადელმა არ გაშიფრა იგი მე-20 საუკუნის 30-ანი წლების დასაწყისში მხოლოდ ჩანანერებით, ყოველგვარი ცოცხალი შესრულების მოსმენის გარეშე. თუმცა, ბერლინის ფონოგრამების არქივში ახლახან აღმოჩენილი კორესპონდენცია ააშკარავებს, რომ ნადელი გეგმავდა კავკასიაში სტუმრობას და იქ ფონოგრაფის წაღებას. როდესაც 1933 წელს ნაცისტები მთავრობაში მოვიდნენ, იგი ლონდონში გადასახლდა და მისი გეგმა არ განხორციელებულა. ნადელის ტრანსკრიფციების შეფასებისას ჩვენ აღგვაფრთოვანებს მისი სმენა. ნადელის ტრანსკრიფციები, სავარაუდოდ, უფრო ზუსტია, ვიდრე შნაიდერისა, მაგრამ ისინი მაინც ვერ ასახავს ორიგინალურ შესრულებას.

### მრავალხმიანობა ისტორიულ ჩანანერებში

ქართული მრავალხმიანობის ამ ორი ისტორიული კოლექციის შეფასებისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მათგანი განსაკუთრებულ ისტორიულ ვითარებაში შეიქმნა. ორივე შემთხვევაში შემკრებთა მიზანი იყო ქართული მუსიკის ნიმუშების წარმოდგენა და არა მრავალხმიანობის მაგალითების ჩანერა. დირს მრავალხმიანი მღერა რამდენჯერმე უნდა ჰქონოდა მოსმენილი, მაგრამ, შესაძლოა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის შემკრებნი გააკვირვა იმან, რომ სამხედრო ტყვეებს, რომლებსაც მანამდე ერთმანეთი არ ენახათ, შეეძლოთ ტიპურ ეროვნულ სტილში, ანუ მრავალხმიანი სიმღერების მღერა.

ამავე დროს შემკრებთა მიზანი აშკარად არ ყოფილა რომელიმე კონკრეტული რეგიონული სტილის დოკუმენტირება ან რაიმე ისეთ სამუსიკისმცოდნეო კითხვებზე პასუხი, როგორიცაა, მაგალითად, უჩვეულო არატემპერირებული ჰარმონიები, მრავალხმიანი ფაქტურის შინაგანი სტრუქტურა ან შესაძლო კავშირი ევროპულ შუა საუკუნეების მრავალხმიანობასთან. ეს კითხვები გაჩნდა მხოლოდ მოგვიანებით, ჩანანერების ინტენსიური შესწავლისას. ევროპულ შუა საუკუნეების მრავალხმიანობასა (*ars antiqua*, *ars nova*) და ქართულს შორის შესაძლო კავშირის ცნობილ თეორიამდე რობერტ ლახის იმ აღმოჩენებმა მიგვიყვანა, რომლებიც კავკასიურ მრავალხმიან სიმღერებზე დაკვირვებებს ეფუძნება. იგი პირველად ნადელმა (1933) და შემდეგ შნაიდერმა (1940) გამოთქვეს.

ბერლინის “ფონოგრამარქივის” ისტორიული ხმოვანი ჩანანერები ცვილის ლილვაკებზე დიდად არ განსხვავდება საქართველოში ბრიტანული გრამოფონის კომპანიის მიერ 1907-1914 წლებში გაკეთებული ყველაზე ადრინდელი ცნობილი ისტორიული ჩანანერებისაგან (ერქომაიშვილი, 1987). ისინი ასახავს მეტ-ნაკლებად ერთნაირ ადგილობრივ თავისებურებებსა და რეპერტუარს. განსხვავება ისაა, რომ ქვეყნის გარეთ ჩანერილი მომღერლები ერთად მღერას არ იყვნენ ჩვეულნი. პირიქით, ისინი შემთხვევით შეიქმნნენ. ასე რომ, მათი სიმღერები არ სრულდებოდა ისე კარგად და ზოგჯერ არ შეესაბამე-

ბოდა ადგილობრივ ტრადიციას, რადგან შემსრულებლები სხვადასხვა ადგილებიდან იყვნენ.

მეორე მხრივ, ეს ჩანაწერები ნათლად გვიჩვენებს, რომ უკვე იმ დროს არსებობდა ზოგადეროვნული რეპერტუარი და ერთად მღერის თანხმობა. საფიქრალია, რომ ეს სტილი ეფუძნებოდა ისეთი უკვე არსებული ანსამბლების გამოსვლებს, როგორც იყო, მაგალითად, ქართული ეთნოგრაფიული გუნდი. დიდი გავლენა ჰქონდა აგრეთვე იმ გრამოფონის ფირფიტების გამოცემებს, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში ასევე ჯარისკაცებს შორის. თუ ტიპური სიმღერის “წმინდა” ქართულ სტილში ნამღერ ჩანაწერს გერმანიაში ომის სამხედრო ტყვეთა შორის ჩანერილი მისი ვარიანტის “გარეგნულ” სტილს შეადარებ (ხმის კარგი ან ცუდი ხარისხის მიუხედავად), დიდ სხვაობას შეამჩნევ არა მარტო ტემბრსა და ბგერათნყოებში, არამედ აგრეთვე ხმათასვლასა და ხმის შინაგან განვითარებაში. ასევე, ერთ შემთხვევაში ჩანს განაფულობა, ცოდნა, სიამაყე და თავდაჯერებულობა, მეორეში კი – სპონტანურობა, მოუხეშაობა, შიში და უიმედობა. ამ ჰიპოთეზების დამტკიცებას დაწვრილებითი სამუსიკისმცოდნეო ანალიზიჭირდება.

### **შეჯამება**

ქართული მრავალხმიანობის ისტორიისათვის ზემოთ ხსენებული კოლექციების ღირებულების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ ხმის ცუდი ხარისხის მიუხედავად, ისინი შეუფასებელი ისტორიული ხმოვანი დოკუმენტებია. ჩანერის მოძველებული ტექნიკის, გაღვანიზებისა და გამრავლების, ევაკუაციის, არასწორი შენახვის პირობებისა და გამოუცდელი მოპყრობის მიუხედავად, რაც ცვილის ლილვაკებმა იმ დროიდან განიცადა, მათ კიდევ შეუძლია რალაცის თქმა მაშინდელ ზეპირ ტრადიციასა და სასიმღერო პრაქტიკაზე. ეს შემთხვევითი ჩანაწერები, რომლებიც თარიღდება პირველ მსოფლიო ომამდელი პერიოდით (როდესაც ხალხურ სიმღერებს ჯერ კიდევ არ მართავდა მასმედია), მოულოდნელად მნიშვნელოვანი გახდა, როგორც უნიკალური ხმოვანი ჩანაწერები. გასულ საუკუნეში დასავლური სამყაროსა და, ნაწილობრივ, საქართველოს მოვლენებით მდიდარმა ისტორიამ მსოფლიოში უნიკალური რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობა განადგურებამდე მიიყვანა. ქართული მრავალხმიანობა ერთ-ერთი მათგანია და ბერლინის ფონოგრამების არქივში დაცული ცვილის ლილვაკური ჩანაწერები “მსოფლიო მეხსიერების” ნაწილს შეადგენს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქართული მრავალხმიანობის ადრეული ცვილის ლილვაკური ჩანაწერები უდიდეს ყურადღებასა და დაფასებას იმსახურებს. კოლექციები ელის საზოგადოების წინაშე წარდგენას გერმანიასა და საქართველოში. მაშ, მოდით, ერთად ვიშრომოთ, რომ დაინყოს ამ უნიკალური მასალის გამოქვეყნება.

## References

- Bose, Fritz. (1935) Lieder der Völker – Die Musikplatten des Instituts für Lautforschung an der Universität Berlin. Katalog und Einführung. Berlin: Max Hesses Verlag.
- Dirr, Adolf. (1910) Fünfundzwanzig georgische Volkslieder. *Anthropos* 5:483-512.
- Dirr, Adolf. (1914) Neunzehn swanische Lieder. *Anthropos* 9:597-621.
- Doegen, Wilhelm (Hr.). (1925) Unter fremden Völkern. Eine neue Völkerkunde. Berlin: Otto Stollberg.
- Erkomaishvili, Anzor. (1987) Pirveli grampirpitebi sakarthveloshi 1907 – 1914. 5 Records with commentary booklet. Melodiya M30 46903 009 – M30 46911 000. Tbilisi: Khelovneba.
- Lach, Robert. (1928). Gesänge russischer Kriegsgefangener, III. Band: Kaukasusvölker, 1. Abt.: Georgische Gesänge (= 55. Mitteilung der Phonogramm-Archivs-Kommission Wien).
- Lach, Robert. (1931). Gesänge russischer Kriegsgefangener, III. Band: Kaukasusvölker, 2. Abt.: Mingrelische, abchasische, svanische und ossetische Gesänge (= 65. Mitteilung der Phonogramm-Archivs-Kommission Wien).
- Nadel, Siegfried F. (1933). Georgische Gesänge. Lautabteilung Berlin. Leipzig: Otto Harrassowitz.
- Öhrig, Bruno. (2000). Adolf Dirr (1867-1930): Ein Kaukasusforscher am Münchner Völkerkundemuseum. In: Münchner Beiträge zur Völkerkunde (= Jahrbuch des Staatlichen Museums für Völkerkunde München Band 6, 2000), Hrsg. Staatliches Museum für Völkerkunde München; Inst. für Völkerkunde und Afrikanistik d. Ludwig-Maximilians-Universität München. München: Verlag des Staatlichen Museums für Völkerkunde, 199-234.
- Pösch, Rudolf. (1916). Phonographische Aufnahmen in den k.u.k. Kriegsgefangenenlagern (= 41. Mitteilung der Phonogramm-Archivs-Kommission der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften in Wien).
- Schneider, Marius. (1938). Die musikalischen Beziehungen zwischen Urkulturen, Altpflanzern und Hirtenvölkern. *Zeitschrift für Ethnologie* 70: 287-306.
- Schneider, Marius. (1940). Kaukasische Parallelen zum europäischen Mittelalter. *Acta Musicologica* 12:52-61.
- Schneider, Marius. (1969). Geschichte der Mehrstimmigkeit. Historische und phänomenologische Studien. Tutzing: Hans Schneider, 2. Aufl.
- Schünemann, Georg. (1918) Kazantatarische Lieder. *Archiv für Musikwissenschaft* 1: 499-515.
- Schünemann, Georg. (1925). Über die Musik im östlichen Europa. In: Doegen 1925.
- Simon, Artur (Hg./Ed.). (2000) Das Berliner Phonogramm-Archiv 1900 – 2000/The Berlin Phonogramm-Archiv 1900-2000. Sammlungen der traditionellen Musik der Welt/Collections of Traditional Music of the World. Berlin VVB -Verlag für Wissenschaft und Bildung.
- Ziegler, Susanne. (1992) Kaukasische Mehrstimmigkeit im Spiegel der deutschsprachigen musikwissenschaftlichen Literatur. Georgisch in: *Sabchota Khelovneba* 1 (1989), 125-131; deutsch in: Von der Vielfalt musikalischer Kultur. Festschrift Josef Kuckertz. Hrsg. Rüdiger Schumacher. Wort und Musik - Salzburger Akademische Beiträge 12:587-596.
- Ziegler, Susanne. (1993). Une perspective historique sur la polyphonie géorgienne. In: *Cahiers de musiques traditionnelles* 6, 29-44.
- Ziegler, Susanne. (1995a). Frühe Aufnahmen traditioneller Musik aus dem Kaukasus im ehemaligen Berliner Phonogramm-Archiv. In: *Lux Oriente - Begegnungen der Kulturen in der Musikforschung*. Robert Günther zum 65. Geburtstag. Hrsg. Klaus Wolfgang Niemöller; Uwe Pätzold; Chung Kyo-chul. Kassel: Bosse 1995, 429-440.

Ziegler, Susanne. (1995b). Auf der Suche nach dem verlorenen Klang - Zur Geschichte und Erschließung der historischen Tondokumente des Berliner Phonogramm-Archivs. In: Jahrbuch Preussischer Kulturbesitz Bd. XXXI - 1994, 153 - 167.

Ziegler, Susanne. (2000a). Die akustischen Sammlungen. Historische Tondokumente im Phonogramm-Archiv und im Lautarchiv. In: Katalog der Ausstellung „Theatrum naturae et artis“ - Wunderkammern des Wissens. Essays. Hrsg. Horst Bredekamp, Jochen Brüning, Cornelia Weber. Berlin: Henschel-Verlag, 197-206.

Ziegler, Susanne. (2000b). Das Walzenprojekt zur Rettung der größten Sammlung alter Klangdokumente von traditioneller Musik aus aller Welt - Walzen und Schellackplatten des Berliner Phonogramm-Archivs./The Wax Cylinder Project in Rescue of the Largest Collection of Old Sound Documents of Traditional Music from Around the World – Wax Cylinders and Shellac Records of the Berlin Phonogramm-Archiv. In: Das Berliner Phonogramm-Archiv 1900 – 2000/The Berlin Phonogramm-Archiv 1900-2000. Sammlungen der traditionellen Musik der Welt/Collections of Traditional Music of the World. Hg./Ed. Artur Simon. Berlin: VWB- Verlag für Wissenschaft und Bildung, 189 - 202.

Ziegler, Susanne. (2001). Die Sammlungen von Edisonzylindern im Berliner Phonogramm-Archiv. Systematische Musikwissenschaft, VII (3), 223 – 242.

Ziegler, Susanne. (2002). The Berlin Wax Cylinder Project - Recent Achievements and Aims. In: Music Archiving in the World. Proceedings of the conference on the occasion of the 100th anniversary of the Berlin Phonogramm-Archiv. Ed. by Gabriele Berlin and Artur Simon. Berlin: VWB - Verlag für Wissenschaft und Bildung, S. 163-172.

სურათი 1. შუნემანი და შტუმპფი ფრანკფურტის/ოდერის ტყვეთა ბანაკში.  
FIGURE 1. Georg Schünemann (middle) and Carl Stumpf (right) recording prisoners of war in 1916.  
Source: Doegen 1925.



სურათი 2. დირი ჰუხჰაიმის ტყვეთა ბანაკში.  
FIGURE 2. Adolf Durr working with Georgian soldiers in the prison camp (Puchheim ?). Source: Doegen 1925.



სურათი 3. შუგეგმვის მიერ ტყვეთა ბანაკებში გახორციელებული ჩანაწერების სია.  
 FIGURE 3. List of Schönemann's recordings in German Prison Camps. Source: Phonogramm-Archiv, Ethnologisches Museum Berlin, SMB- PK.

Phonogramm-Archiv der Staatl. Hochschule für Musik in Berlin			
Sammlung aus den Kriegsgefangenen-Lagern			
Prof. Dr. H. Schönemann			
East- and West-Europe	Asia	South America	North America
Baskisch	31		
Bretonisch	9		
Flämisch	2		
Fransösch	6		
Italiänisch	7		
Schwedisch	3		
Spanisch	1		
Portugiesisch	1		
<u>East-Europe</u>	58		
Russisch	104		
Ukrainisch	61		
Kosakisch	2		
Polnisch	1		
Deutschrussisch	35		
Estnisch	5		
Litauisch	4		
Jiddisch (u. hebräisch)	31		
<u>Asia</u>	249		
Rumänisch	58		
Bulgarisch	13		
Serbisch	65		
Griechisch	79		
Türkisch	10		
Zigeunisch	4		
	213		
		33	
		9	
		15	
		25	
		10	
		2	
		4	
		1	
		2	
		1	
		1	
		2	
		1	
		1	
		69	
		43	
		18	
		19	
		6	
		1	
		4	
		4	
		26	
		20	
		141	
			9
			9
			11
			16
			12
			4
			2
			2
			5
			4
			12
			16
			11
			9
			41
			14
			138
			16
			4
			7
			1
			8
			5
			41
			951

სურათი 4. საგანში განხორციელებული ჩანაწერების ოქმი (Proto kollheft sagan (pron. Komm. 820-824).  
 FIGURE 4. Protocoll of cyl. 820 – 824 recorded in Sagan. Source: Phonogramm-Archiv, Ethnologisches Museum Berlin, SMB - PK.

